გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

„საზოგადოება მაუწყებლის გადასარჩენად“

სოლიდარობის აქცია აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტებს

COMMUNITY DEVELOPMENT ACADEMY
CDA
COMMUNITY ORGANIZATION

საია GYLA
Georgian Young Lawyers' Association

CSI CSI
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
Civil Society Institute

IJH
თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი

CENTERS.GE

მწვანე სექტორი
Green Sector

ISFED
INTERNATIONAL SOCIETY FOR FAIR ELECTIONS AND DEMOCRACY
საერთაშორისო არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

საზოგადოებრივი ორგანიზაციები იწყებენ აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტების მხარდამჭერ კამპანიას „საზოგადოება მაუწყებლის გადასარჩენად“ - ამ ფორმით ვაპროტესტებთ საზოგადოებრივი მაუწყებელის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში მიმდინარე პროცესებს, რომელიც საზოგადოების, სამოქალაქო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერის გარეშე, შესაძლოა, დასრულდეს აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო დამოუკიდებლობის დაკარგვით.

კამპანიის ფარგლებში აქციის გამართვა დაგეგმილი იყო პარასკევს, 13 მარტს, 19 საათზე მაუწყებლის შენობასთან, თუმცა ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამიმდინარე, რომელიც უკავშრდება COVID-19-ის გავრცელების რისკს და ჩვენი მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე გადაწყდა, რომ სოლიდარობის აქცია გაიმართოს ონლაინ, ინტერნეტის საშუალებით, პარასკევს, 13 მარტს, 19 საათზე. ყველა მოქალაქეს შეუძლია ჩაწეროს მიმართვა და გაავრცელოს საკუთარ Facebook-ზე, მიკრობლოგზე ან კამპანიის ოფიციალურ გვერდზე (აქ გვერდის მისამართი უნდა დაკოპირდეს).

ჩვენ, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის მაყურებლები, მივიჩნევთ, რომ საფრთხე ექმნება მაუწყებლის იდეას, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია რეგიონსა და, ზოგადად, ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერისთვის და ხელისუფლების ანგარიშვალდებულების დონის ასამაღლებლად.

აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის მიერ წარმოებული საკადრო პოლიტიკა ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეას, მაუწყებლის სარედაქციო დამოუკიდებლობას და აშკარა პოლიტიკურ რევანშისტულ შინაარსს ატარებს იმ პირების მიმართ, რომელთა მუშაობით იქმნებოდა მაუწყებლის კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამგვარი სარედაქციო პოლიტიკის წარმოება მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ.

მათ, ვისთვისაც მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი მაუწყებელი იყოს თავისუფალი სახელისუფლებო და ნებისმიერი სხვა სახის გავლენებისგან, ვისთვისაც მნიშვნელოვანია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, მოგიწოდებთ, შემოუერთდით ონლაინ კამპანიას და ამით გამოხატეთ თქვენი მხარდაჭერა.

შეგახსენებთ, რომ 2013 წლიდან ტელევიზია აღარ არის აჭარის მთავრობის საქვეუწყეო ორგანიზაცია - ის საზოგადოებრივი მაუწყებელი გახდა, რომლის ბიუჯეტი 11 მილიონ ლარზე მეტია და ამ ფულს ვიხდით ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, ჩვენი შემოსავლებიდან გადახდილი გადასახადებიდან.

თუ თქვენთვის მნიშვნელოვანია თქვენი ხმა ისმოდეს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ეთერში, თუ თქვენთვის მნიშვნელოვანია სიტყვის თავისუფლება, შემოუერთდით ონლაინ კამპანიას მაუწყებლის გადასარჩენად.

ხელმომწერი ორგანიზაციები:

1) საზოგადოებრივი განვითარების აკადემია

2) თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი

3) სამართლიანი არჩევნები

4) დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი

5) სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

6) აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის

7) საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

8) მწვანე სექტორი